KA040148372733815

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7 ; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 66/სა **13** / ოქტომბერი / **2015 წ.**

ბრძანება

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134^4-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N181 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2^1 პუნქტი:

„2^1. ტესტირების მონაწილე უფლებამოსილია, ტესტირების პროცესის დასრულებისთანავე მოითხოვოს ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ტესტირების შედეგი.“.

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები:

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ თარიღამდე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ საჯარო კონკურსში მონაწილეობის მიღებისას, კონკურსში მონაწილე კანდიდატი უფლებამოსილია, განცხადებასთან და სხვა მოთხოვნილ დოკუმენტებთან ერთად, წარადგინოს მის მიერ ამ ბრძანებით დადგენილი წესით გავლილი კონკურსის ტესტირების ეტაპის შედეგის დამადასტურებელი ცნობა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული წესით კონკურსში მონაწილე კანდიდატის მიერ ცნობის წარდგენის შემთხვევაში, თუკი დასტურდება ამ ბრძანების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის

მიერ განსაზღვრული კონკურსის ტესტირების ეტაპის მინიმალური გამსვლელი ზღვრის გადალახვისათვის საკმარისი შედეგი, კონკურსის მონაწილეს ტესტირების ეტაპი გადალახულად ეთვლება.“.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი ეკატერინე ქარდავა